

“კრილია” ხელწერას არ იცვლის

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) 1:0 (0:0).

“დინამო”: გოგია, ხიბანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (ჩივაძე).

“კრილია სოვეტოვი”: ბლოხინი, სიომინი, უჟპიკოვი, ალექსანოვი, კოპაევი, პანტილოვი, არიაპოვი, პლატონოვი, კრაევი, პავლოვი, ფილიპოვი.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

გაფრთხილებულია კრაევი.

დიდი ხანია თბილისელ მაყურებელს არ უნახავს თავის სტადიონზე კუიბიშეველ ფეხბურთელთა თამაში, მაგრამ “კრილია სოვეტოვის” სტილი, მისი ხელწერა ყველას კარგად ახსოვს: მასირებული, ღრმა დაცვა, აქცენტი უკანა ხაზების გაძლიერებაზე, ხოლო შეტევა – მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე, ეპიზოდების სახით, მოხერხებულ მომენტებში.

როცა კუიბიშეველებს ჰყავდათ კონტრიერიშის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ გულევსკი, კაზაკოვი, ჰესაინოვი, ოსიანინი, ეს ტაქტიკა ასე თუ ისე გამართლებული იყო, ასაზრდოებდა გუნდს საჭირო ქულებით. ახლა კი, “კრილია სოვეტოვს” თავდასხმაში აღარ ჰყავს ასეთი ტიპის ფეხბურთელები, ამიტომ მისი ძალაც მთლიანად დაცვის სიმტკიცეს ემყარება.

ამგვარ გუნდთან თამაში, თითქოს არ უნდა იყოს ძნელი. ხითათს იგი ვერ ქმნის, საშიშროება ნაკლებია, შეგიძლია გაშალო შეტევა და მეთოდურად, მოფიქრებულად მიიყვანო საქმე გამარჯვებამდე. მაგრამ კუიბიშეველებთან არც ისე იოლია საიერიშო ამოცანების გადაწყვეტა. ისინი ყოველგვარი საშუალებით ხელს უშლიან მეტოქეს, აჭიანურებენ დროს, მინდვრის ფარგლებს გარეთ გააქვთ ბურთი, განუწყვეტლივ აწვდიან მას მეკარეს, ხშირად არღვევენ წესს. მაგალითად, რატომ გააფრთხილეს კრაევი? მსაჭამა თამაშგარე მდგომარეობის გამო გააჩერა თამაში, კრაევმა ეს კარგად იცოდა და, მაინც, დროის მოგების მიზნით აუტი დაარტყა მთელი ძალით.

ასეთ გითარებაში დინამოელებმა პირველ ნახევარში ვერ ააწყვეს თამაში. მატჩი მიმდინარეობდა მონოტონურად, ერთთევროვნად, შეუ მინდორში. ტაიმი ისე დამთავრდა, “კრილია სოვეტოვის” კართან მასპინძლებს არც ერთი საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ, არც ერთხელ არ დაურტყამთ სახითვათოდ, მხოლოდ 44-ე წუთზე შეძლო ეს ჩელებაძემ და მაშინაც მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მეორე ტაიმში, როცა “დინამო” ამოძრავდა მთელი ძალით, უმატა ტემპს, გააძლიერა შეტევა და 45 წუთი თითქმის მთლიანად მოპირდაპირე ნახევარზე გაატარა. ჩვენი აზრით, გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანა ჩივაძემ, რომელიც კარგად ჩაერთო თამაშში, შეეწყო პარტნიორებს, რამდენიმე ეფექტური კომბინაცია გაითამაშა გრძელი გადაცემებით.

დინამოელთა სრულ ტერიტორიულ უპირატესობას შედეგი მოჰყვა მხოლოდ მატჩის დასასრულს, 85-ე წუთზე. გუცაევის მიერ მონოდებული ბურთი დარასელიამ ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში, ბლოხინმა იგი მოიგერია, ბურთი მოხვდა ძელს,

დაუბრუნდა მინდორს და აქ ადგილზე აღმოჩნდა ქორიძე, რომელმაც მინდვრის სილრმილან მიუსწრო მას. ნახევარმცველის თავური დარტყმა ზუსტი იყო – 1:0.

მატჩის შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ ფეხბურთის რამდენიმე სპეციალისტს და ვთხოვეთ გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება განვლილ შეხვედრაზე. მათი აზრით, თბილისელებმა კარგად ჩაატარეს მეორე ტაიმი, როცა სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ საჭირო იყო უფრო გაბედული და ზუსტი მოქმედება შეტევის დამამთავრებელ ფაზაში. სტუმრების კარი რამდენიმეჯერ გადაურჩა ისეთ მომენტებს, როცა დინამოელებს შეეძლოთ გაცილებით დიდი ანგარიშით მოეგოთ თამაში.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 4 მაისი, 1976 წ.